საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „სდტ ჯორჯია“ ქ. ფოთში, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე შერჩეულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N307. ს/კ 412733421) გეგმავს ავტომანქანების მექანიკური კომპონენტების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მიხედვით, საწარმოში ავტომანქანების მექანიკური კომპონენტების დამზადება მოხდება ალუმინისა და თუთიის შენადნობების დნობის და შემდგომ მაღალი წნევით ჩამოსხმის დანადგარის გამოყენებით. გამომდინარე აქედან, საწარმოში ალუმინის და თუთიის შენადნობების წარმოებას ადგილი არ ექნება და შენადნობების სხმულები მზა სახით შემოტანილი იქნება სხვა საწარმოებიდან.

საქათველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის 4.3. პუნქტის შესაბამისად, „ფერადი ლითონის (გარდა ძვირფასი ლითონებისა) დნობა წელიწადში 20 ტონა და მეტი წარმადობით“ წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას და თუ გავითვალისწინებთ, რომ საპროექტო საწარმოში დაგეგმილია 275 ტონა ალუმინის შენადნობის და 165 ტონა თუთიის შენადნობის გადამუშავება, საწარმოს პროექტი უნდა განხორციელდეს სკრინინგის გადაწყვეტილების მიხედვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ავტომანქანების მექანიკური კომპონენტების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- შპს „სდტ ჯორჯია“-ს ავტომანქანების მექანიკური კომპონენტების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელ. ვერსია CD დისკზე;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის Shp- ფილები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შპს „სდტ ჯორჯია“-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

მანავ ჟუ[illegible]

შპს „სდტ ჯორჯია“-ს დირექტორი

შპს სდტ ჯორჯია/ SDT GEORGIA LLC / ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, /ნაკვეთის №: 307, 4400, ფოთი, საქართველო
/საიდ. კოდი: 412733421 / ტელ: +995 595 453130 / tea.chokoraia@sdt-diecasting.cn